ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1179193

ნომერი: AR1204629

თარიღი : 16.03.2014

გაცემის თარიღი : 21.03.2014

გაცნობის თარიღი : 03.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალექსიძე , N 1 , (ნაკვ. 038/011) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ქურდიანი პ/ნ 01008018346
- თბილისი ტ.ტაბიძის ქ. N 41 ბ. 6

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- კოეფიციენტის განსაზღვრა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.13.038.011) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1-ის (სსზ-1) სტატუსი (იხ. დანართი), რომელშიც მოქმედებს შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:

საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1-ში (სსზ-1) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,7;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 3,5;
- მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1;

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება №4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1 (სსზ-1), წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონას, მათ შორის კარკასს განაშენიანების დომინირებული სახეობის გარეშე (შერეული ზონა); სადაც რეკომენდებულია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული თითოეული სახეობის არსებობა არა უმეტეს საერთო ოდენობის 60%-ის.’ (25.11.2011 N 12-55);

აქვე გაცნობებთ, რომ მოცემულ ზონაში ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობების განსათავსებლად, მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, ყველა საკითხს განიხილავს „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისია”.